Hyundai Bluelink Europe

გამოყენების პირობები

ძალაშია 2023 წლის 24 ნოემბრიდან.

ცვლილებების ჩამონათვალი

- 3.1.3. დაემატა ფანჯრის დისტანციური მართვა
- 3.1.4 დაემატა დისტანციური საყვირის და განათების ფუნქციები
- 3.1.5. დაემატა დისტანციური განათება
- 3.1.12. დაემატა ელემენტების დისტანციური კონდიცირების ფუნქცია
- 3.1.13. დაემატა გამგზავრების დრო
- 3.1.14. დაემატა დასამუხტი დენის ოფციონი
- 3.9. განახლდა Hyundai Digital Key-ის აღწერა
- 4.1.7. მოცემულ თავს დაემატა ახლომდებარე შეთავაზებების და გაფართოებული ძებნის ფუნქცია

თუ არ ეთანხმებით გამოყენების წესებში შეტანილ ცვლილებებს, გთხოვთ, საინფორმაციო გასართობ სისტემაში გამორთოთ Bluelink-ის მომსახურება ამ წესების ძალაში შესვლამდე.

1. **შესავალი**

1.1. Hyundai Bluelink Europe-ის სერვისებით („Bluelink“ ან „სერვისები“) სარგებლობისათვის, გთხოვთ გაეცნო Hyundai Bluelink Europe-ის პირობებს („პირობები“ ან „გამოყენების პირობები“).
ეს პირობები გამოიყენება ყოველთვის, როდესაც ისარგებლებთ სერვისებით Bluelink-ის აპლიკაციასა და ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში.
სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ იპოვოთ ამ პირობების უახლესი ვერსია Bluelink-ის აპლიკაციის მენიუსა და საინფორმაციო-გასართობი სისტემის მენიუში (ეს არის თქვენი ავტომობილის სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობა).

1.2. ჩვენ ვართ სს Hyundai Auto Georgia. ჩვენი რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი 204. ჩვენ წარმოვადგენთ თქვენ სახელშეკრულებო პარტნიორს სერვისების უზრუნველყოფის ფარგლებში.

1.3. შეკითხვების შემთხვევაში, დაგვირეკეთ ნომერზე +995 32 251 77 99 ან მოგვწერეთ ელფოსტის მისამართზე bluelink@hyundai-europe.com.

2. **სერვისების გამოყენება**

2.1. <u>ზოგადი წინაპირობები</u>

2.1.1. თქვენ უნდა იყოთ 18 წლის ან უფროსი ასაკის, რომ დაეთანხმოთ ამ პირობებს.

2.1.2. სერვისებით სარგებლობა მხოლოდ Hyundai-ს იმ ავტომობილებში შეგიძლიათ, რომლებიც Bluelink-ისთვის განკუთვნილი კონკრეტული აპარატურით, კერძოდ, წინასწარ დაინსტალირებული SIM-ბარათის მქონე მოდემით და განსაზღვრული ანტენით არის აღჭურვილი.

2.1.3. ამ პირობების საფუძველზე სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით ჩვენი ხელშეკრულება უნდა განსხვავდებოდეს Hyundai-ს ავტომობილის შესყიდვის (ან

დაქირავების) ხელშეკრულებისგან. ეს ორი დოკუმენტი იურიდიულად განსხვავებული ხელშეკრულებაა, რომლებიც, თეორიულად, არ ახდენს ერთმანეთზე გავლენას.

2.1.4. სერვისები დაკავშირებულია თქვენ კონკრეტულ ავტომობილთან, და, შესაბამისად, ვერ მოხდება მათი სხვა ავტომობილიდან მიღება ან სხვა ავტომობილში გადაცემა.

2.1.5. სერვისების დეაქტივაცია და ხელახლა აქტივაცია შეგიძლიათ ნებისმიერ დროს საინფორმაციო-გასართობი სისტემიდან.

2.1.6. Hyundai Bluelink Europe აპლიკაციის გამოყენებისთვის საჭიროა თავსებადი მობილური მოწყობილობა და ოპერაციული სისტემის ვერსია. ოპერაციული სისტემის მინიმალური აუცილებელი ვერსიებია iOS 10 და Android 6.0. ოფიციალურად მხარდაჭერილი მოწყობილობებია iPhone 11 (და უფრო ახალი მოდელი), Samsung Galaxy S21, S22, S23, S23+, S30 Plus, A50, A54, Z Flip 3, Note 10, Google Pixel 6 Pro, 7 Pro, Huawei P40, Mate P40 Pro, Xiaomi Mi 10 და 11, Oppo Find X3 Neo.

2.1.7. ჩვენი დისტანციური აპლიკაციის სერვისებით სარგებლობა შეგიძლიათ მხოლოდ მაშინ, თუ აპლიკაცია პირდაპირ რეჟიმში იღებს ინფორმაციას ავტომობილიდან.
ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანთების სისტემა არ გამოთიშულა თოთხმეტ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ccNC (Connected Car Navigation Cockpit) ნავიგაციის მოწყობილობის მქონე ავტომობილების შემთხვევაში (რომელიც დაინსტალირებულია სრულიად ახალ KONA-ს და შემდგომ მოდელებში) ან შვიდ დღეზე მეტი ხნით, Gen5W ავტომობილების შემთხვევაში (ყველა სხვა მოდელი).

2.1.8. ყველა სერვისი შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი უშუალოდ თქვენ ავტომობილზე - ეს დამოკიდებულია როგორც Hyundai-ს ავტომობილის მოდელზე, ისე აპლიკაციისა და საინფორმაციო-გასართობი სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიაზე.

2.1.9. ჩვენ არ დაგაკისრებთ რაიმე საფასურის გადახდას სერვისებით სარგებლობისთვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (იხილეთ პუნქტი 10 ქვემოთ, ამ პირობების საფუძველზე ჩვენი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ).

2.2. <u>Bluelink-ის აპლიკაცია</u>

2.2.1. სერვისებით სარგებლობისთვის უნდა განახორციელოთ შემდეგი:
ა) გააქტიურეთ Bluelink თქვენს ავტომობილში;
ბ) Google Play Store-დან ან Apple App Store-დან ჩამოტვირთეთ აპლიკაცია „***Hyundai Bluelink Europe***“;
გ) შედით სისტემაში თქვენი Hyundai-ს ანგარიშით;
დ) დაუშვით Bluelink-ის წვდომა თქვენ Hyundai-ს ანგარიშში მითითებულ პერსონალურ მონაცემებზე (ტელეფონის ნომერი, მომხმარებლის პროფილი, ელფოსტის მისამართი);
ე) შეიყვანეთ ტელეფონის ნომერი და დაადასტურეთ 6-ნიშნა კოდით, რომელსაც ტელეფონის ნომერზე SMS-ით მიიღებთ;
ვ) შექმენით 4-ნიშნა PIN-კოდი Bluelink-ის პირადი სერვისისთვის;
ზ) აპლიკაციაში დაამატეთ Hyundai-ს ავტომობილი;
თ) დაეთანხმეთ Bluelink-ის გამოყენების პირობებს;
ი) გაეცანით შეტყობინებას კონფიდენციალურობის შესახებ; და
კ) თქვენ საინფორმაციო-გასართობ სისტემაში აირჩიეთ [Bluelink] - [Bluelink-ის პარამეტრები] - [მოდემის შესახებ ინფორმაცია] და მობილური ტელეფონით დაასკანერეთ QR-კოდი. შეგიძლიათ, ასევე, ხელით შეიყვანოთ ავტომობილის

საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN). VIN-ის დასადასტურებლად მიუთითეთ აქტივაციის კოდი, რომელსაც ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში მიიღებთ.

2.2.2. ხელშეკრულება სერვისებთან დაკავშირებით ჩვენ შორის გაფორმდება მას შემდეგ, რაც მიიღებთ აპლიკაციაში სერვისებზე წვდომას წარმატებული აქტივაციისა და ავტომობილის დამატების ან საინფორმაციო-გასართობი სისტემის (თქვენი ავტომობილის სტერეოსისტემის ძირითადი მოწყობილობა) მენიუში სერვისების გააქტიურების შედეგად.
ზოგიერთი სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ აპლიკაციაში (იხილეთ მე-3 პუნქტი ქვემოთ). გამოწერის პროცესში ნაჩვენები პარამეტრებით შეგიძლიათ გაასწოროთ შეტანილ მონაცემებში დაშვებული ნებისმიერი უზუსტობა. ხელშეკრულება ფორმდება ქართულ ენაზე.
გამოყენების პირობებს მიიღებთ ელფოსტით, აპლიკაციაში ავტომობილის წარმატებით დამატების შემდეგ. ამ პირობების უახლესი ვერსია, ასევე, ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი იქნება აპლიკაციაში (აპლიკაციის მენიუში „მეტი“ -> „იურიდიული ტექსტები“) და საინფორმაციო-გასართობი სისტემის მენიუში („პარამეტრები“ -> „Bluelink“ -> „გამოყენების პირობები“ თქვენი ავტომობილის სტერეოსისტემის ძირითად მოწყობილობაში).

2.2.3. თუ ჯერ კიდევ არ გაქვთ Hyundai-ს ანგარიში, შექმენით ახალი ანგარიში შემდეგნაირად:
ა) გახსენით Bluelink-ის აპლიკაცია და დაწკაპუნეთ ღილაკზე „ანგარიშის შექმნა“.
ბ) შეიყვანეთ თქვენი ელფოსტის მისამართი, სახელი, გვარი, საცხოვრებელი ქვეყანა და სასურველი პაროლი.
გ) დაეთანხმეთ გამოყენების პირობებს, რომლებიც Hyundai-ს ანგარიშზე ვრცელდება.
დ) აირჩიეთ „რეგისტრაცია“
ე) დაადასტურეთ ელფოსტის მისამართი 4-ნიშნა კოდით, რომელსაც ელფოსტაზე მიიღებთ.

2.2.4. თუ დაგავიწყდათ Hyundai-ს ანგარიშის ელფოსტის მისამართი ან პაროლი, შეგიძლიათ Bluelink-ის აპლიკაციაში დააწკაპუნოთ ბმულზე „დაგავიწყდათ პაროლი?“.

3. Bluelink-ის სერვისების ჩამონათვალი: აპლიკაცია

3.1. <u>დისტანციური სერვისები</u>

3.1.1. Push-შეტყობინებები

ამ ფუნქციის გააქტიურების შემდეგ, Bluelink-ის Push-შეტყობინებების მეშვეობით გეგზავნებათ შემდეგი ინფორმაცია. სპეციფიკაციები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნის ან ავტომობილის მოდელის მიხედვით:

- ძარცვის შესახებ განგაშის სიგნალი
- შეტყობინება ღია კარის / ღია საბარგულის / ღია კაპოტის / ღია სატენის კარის / ღია ფანჯრის შესახებ
- მაღალი ძაბვის ბატარეის განმუხტვის შესახებ გამაფრთხილებელი სიგნალი
- უკანა სავარძლის განგაშის სიგნალი / საავარიო შუქსიგნალიზაციის განგაშის სიგნალი / გვერდითი მაშუქების განგაშის სიგნალი/ ძრავის უქმი სვლის გამაფრთხილებელი სიგნალი
- კლიმატის კონტროლის სტატუსი / დამუხტვის სტატუსი / კარის ჩაკეტილი და გახსნილი მდგომარეობა / პროგრამული უზრუნველყოფის განახლების სტატუსი

3.1.2. დისტანციური ჩაკეტვა და გახსნა

დაგავიწყდათ კარის ჩაკეტვა?
ნუ აღელდებით: ამის შესახებ, Bluelink თქვენს სმარტფონზე, push-შეტყობინებების გაგზავნით გაცნობებთ.
შემდეგ, თქვენი PIN-ის შეყვანით, Bluelink-ის აპლიკაციაში შესაბამისი ღილაკის გამოყენებით, შეძლებთ მთელი მსოფლიოდან თქვენი მანქანის ჩაკეტვას ან გახსნას.

3.1.3. ფანჯრის დისტანციური მართვის ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, გახსნათ და დახუროთ თქვენი მანქანის ფანჯრები დისტანციურად.

3.1.4. **დისტანციური საყვირი და განათება (მხოლოდ ზოგიერთ ავტომობილზე)**

საყვირის და განათების დისტანციური ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, თქვენი მანქანის ფარები და საყვირის ხმა, დაახლოებით 30 წამის განმავლობაში, დისტანციურად გააააქტიუროთ. საყვირის გაჩერება უფრო ადრეა შესაძლებელი, თუ კარს სმარტ გასაღებით გააღებთ და ჩაკეტავთ.

3.1.5. **დისტანციური განათება (მხოლოდ ზოგიერთ ავტომობილზე)**

დისტანციური განათების ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, თქვენი მანქანის ფარები დაახლოებით 30 წამის განმავლობაში, დისტანციურად ჩართოთ.

3.1.6. **დისტანციური დამუხტვა (მხოლოდ EV და PHEV ავტომობილისთვის)**

დისტანციური დამუხტვა საშუალებას გაძლევთ, დისტანციურად დაიწყოთ და შეწყვიტოთ დამუხტვის პროცესი.
დისტანციური დამუხტვის გამოსაყენებლად, უბრალოდ, გააააქტიურეთ „ავტომატური დამუხტვა“ თქვენს Hyundai EV-ში ან PHEV-ში ავტომობილში.
დამუხტვის სესიების შეწყვეტა შესაძლებელია დისტანციურად, Bluelink-ის აპლიკაციის გამოყენებით.
დასამუხტი სადგურების გამოყენებისას, დამუხტვის სესია უნდა შეწყდეს უშუალოდ დასამუხტ სადგურში.

3.1.7. **დაგეგმილი დამუხტვა (მხოლოდ EV და PHEV ავტომობილისთვის)**

ეს მოსახერხებელი ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, დააყენოთ თქვენ საჭიროებებზე მორგებული დამუხტვის განრიგი.
ამას გარდა, შეგიძლიათ დააყენოთ სასურველი ტემპერატურა მომდევნო მგზავრობის დასაწყისში.

3.1.8. **ელექტროავტომობილების POI (მხოლოდ EV და PHEV ავტომობილისთვის)**

ეს ფუნქცია გეხმარებათ, იპოვოთ ელექტროავტომობილების დასამუხტი უახლოესი და საუკეთესო სადგურები თქვენი მოთხოვნების (როგორიცაა, დამუხტვის ტიპი) და პარამეტრების შესაბამისად (ფილტრაციის ვარიანტის მეშვეობით).

3.1.9. **კლიმატის კონტროლი დისტანციურად (მხოლოდ EV ავტომობილისთვის)**

EV-ავტომობილისთვის დამახასიათებელი ეს ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, სურვილისამებრ, წინასწარ განსაზღვროთ მანქანის პირობები: უბრალოდ, დააყენეთ განსაზღვრული ტემპერატურა და ჩართეთ კლიმატის დისტანციური კონტროლი. მოხერხებულობისთვის, ასევე შეგიძლიათ, გააააქტიუროთ უკანა ფანჯრის და საჭის თვლის გათბობის რეჟიმი.

3.1.10. **სატენის კარის გაღება/დახურვა დისტანციურად (მხოლოდ ზოგიერთი EV ავტომობილისთვის)**

ეს ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, დისტანციურად გააღოთ და დახუროთ თქვენი ავტომობილის სატენის კარი.

3.1.11. **საავარიო შუქსიგნალიზაციის/გვერდითი მაშუქების დისტანციური კონტროლი (არა ყველა ავტომობილისთვის)**

როდესაც თქვენი ავტომობილის საავარიო შუქსიგნალიზაცია ან/და გვერდითი მაშუქები დარჩა ჩართული, Bluelink-ის აპლიკაცია ამის შესახებ შეტყობინების მეშვეობით გაცნობებთ.
მაშუქების გამორთვა შეგიძლიათ დისტანციურად, აპლიკაციის გამოყენებით.

3.1.12. **ელემენტების დისტანციური კონდიცირება (მხოლოდ ზოგიერთ ელექტრომობილზე)**

ეს ფუნქცია გეხმარებათ ელემენტების ტემპერატურის ოპტიმიზაციაში ავტომობილის დამუხტვის გაუმჯობესების მიზნით.

3.1.13. **გამგზავრების დრო (მხოლოდ ზოგიერთ ელექტრომობილზე)**

ეს ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, გააქტიუროთ დაგეგმილი კლიმატის ფუნქცია. დააყენეთ სასურველი ტემპერატურის და გალღობის ოფციონი გამგზავრების ორი განსხვავებული გრაფიკისთვის.

3.1.14. **დასამუხტი დენი (მხოლოდ ზოგიერთ ელექტრომობილზე)**

დასამუხტი დენის მენიუში შეგიძლიათ ნელი დამმუხტველი მოწყობილობიდან მიწოდებული დენის დარეგულირება 60%, 90%, ან 100%-ით.

3.1.15. **იპოვნე ჩემი მანქანა**

დაგავიწყდათ, სად დააყენეთ მანქანა? უბრალოდ, გახსენით Bluelink-ის აპლიკაცია და რუკა გაჩვენებთ მიმართულებას.

3.1.16. **ინფორმაციის მანქანაში გაგზავნა**

Bluelink-ის აპლიკაცია საშუალებას გაძლევთ, მოიძიოთ მიმართულებები სახლიდან გაუსვლელად. Bluelink შემდეგ ახდენს სინქრონიზებას ნავიგაციის სისტემასთან და ჩატვირთავს მარშრუტს გასამგზავრებლად. უბრალოდ, ჩაჯექით ავტომობილში და დააჭირეთ ღილაკს „წასვლა“.

3.1.17. **ჩემი მანქანის POI (ინტერესის სფეროს პუნქტი)**

ჩემი მანქანის POI ფუნქცია ახდენს შენახული ინტერესის სფეროს პუნქტების (POIs) სინქრონიზებას საინფორმაციო-გასართობ სისტემასა და Bluelink-ის აპლიკაციაში.

3.1.18. **ნავიგაცია დანიშნულების ადგილამდე**

დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე, შესაძლოა, მანქანის სადმე პარკირება დაგჭირდეთ.
თუ დანიშნულების ადგილამდე 200 მ-დან 2 კმ-მდე მანძილით ხართ დაშორებული, შეგიძლიათ ნავიგაციის ფუნქცია მანქანიდან Bluelink-ის აპლიკაციაში გადაიტანოთ. აუგმენტური რეალობის ან Google Maps-ის მეშვეობით სმარტფონი გაჩვენეთ ზუსტ მიმართულებას, თუ სად უნდა წახვიდეთ.

3.1.19. **მანქანამდე ნავიგაცია**

"მანქანამდე ნავიგაციის" ფუნქცია გაჩვენებთ მიმართულებას ავტომობილამდე მისასვლელად, აუგმენტური რეალობის ან Google Maps-ის მეშვეობით. გაგზავნეთ თქვენი მანქანის მიმდინარე ადგილმდებარეობა Bluelink-ის აპლიკაციის მეშვეობით.

თუ თქვენს ავტომობილამდე 200 მ-დან 2 კმ-მდე მანძილით ხართ დაშორებული, სმარტფონი გაჩვენებთ მიმართულებას ავტომობილის ადგილმდებარეობამდე.

3.1.20. ვალეტ პარკინგის რეჟიმი

ვალეტ პარკინგის რეჟიმი იცავს თქვენს პირად საინფორმაციო-გასართობ ინფორმაციას, როდესაც მანქანის გასაღებს სხვა პირს აძლევთ. საინფორმაციო-გასართობ სისტემაში სერვისის გააქტიურების შემდეგ, მძღოლი მხოლოდ ვალეტ რეჟიმის ეკრანს დაინახავს. უკანა კამერა და e-Call ფუნქციები კვლავ იმუშავებს.
ვალეტ პარკინგის რეჟიმი, ასევე, გაწვდით შემდეგ ინფორმაციას Bluelink-ის აპლიკაციაში:

- მგზავრობის დაწყება და დასრულება
- მგზავრობის მანძილი
- მგზავრობის დრო
- უმაღლესი სიჩქარე

ვალეტ პარკინგის რეჟიმის გამორთვა შეგიძლიათ საინფორმაციო-გასართობი სისტემიდან ან Bluelink-ის აპლიკაციიდან, პაროლის გამოყენებით.

3.2. <u>ინფორმაცია ავტომობილის სტატუსის შესახებ Bluelink-ის მეშვეობით</u>

3.2.1. ანგარიში ავტომობილის შესახებ

ანგარიში ავტომობილის შესახებ გაწვდით ინფორმაციას Hyundai-ს ავტომობილის გამოყენების შესახებ. შეგიძლიათ, ასევე, შეამოწმოთ მნიშვნელოვანი მართვის ბლოკების სტატუსი, როგორიცაა აირბალიში, მუხრუჭები, საბურავის წნევა და სხვ.

3.2.2. სტატუსის განახლება

სტატუსის განახლების ფუნქცია გაწვდით ინფორმაციას ავტომობილის სტატუსის შესახებ. თქვენი ავტომობილის მოდელის შესაბამისად, შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი ინფორმაცია:

- საწვავის რეზერვით გასავლელი მანძილი
- საწვავის დონე
- ძრავის ჩართული/გამორთული მდგომარეობა
- კარის დაკეტვის სტატუსი
- კლიმატის კონტროლის სტატუსი
- უკანა კარის ღია/დახურული მდგომარეობა
- წინა კაპოტის ღია/დახურული მდგომარეობა
- ფანჯრის ღია/დახურული მდგომარეობა
- ლიუკის ღია/დახურული მდგომარეობა
- საბურავის წნევის სტატუსი
- მაღალძაბვიანი ბატარეის დამუხტვის სტატუსი (მხოლოდ EV და PHEV ავტომობილისთვის)
- დაგეგმილი დამუხტვის ჩართვა/გამორთვა
- დაგეგმილი კლიმატის კონტროლის ჩართული/გამორთული მდგომარეობა
- სატენის კარის ღია/დახურული მდგომარეობა (მხოლოდ გარკვეულ ელექტროავტომობილებში)
- საჭის თვლის გათბობის სტატუსი (მხოლოდ გარკვეულ ელექტროავტომობილებში)
- გალღვობის რეჟიმის ჩართული/გამორთული მდგომარეობა (მხოლოდ ელექტროავტომობილებში)
- უკანა ფანჯრის გათბობის ჩართვა/გამორთვა (მხოლოდ გარკვეულ ელექტროავტომობილებში)

- გვერდითი სარკის გათბობა (მხოლოდ გარკვეულ ელექტროავტომობილებში)
- ნათურის სტატუსი
- მიმდინარე დამუხტვის სიმძლავრე (დამუხტვის დროს, მხოლოდ გარკვეულ ელექტროავტომობილებში)

3.2.3. **ჩემი მგზავრობები**

ფუნქცია „ჩემი მგზავრობები“ გაწვდით ინფორმაციას თქვენი ავტომობილის ყოველდღიური ან ყოველთვიური გამოყენების შესახებ. შეგიძლიათ, შეამოწმოთ მოძრაობის ხანგრძლივობა, გარბენი, საშუალო და მაქსიმალური სიჩქარე. ინფორმაცია ჩემი მგზავრობების შესახებ ხელმისაწვდომია 90 დღის განმავლობაში.

3.2.4. **ენერგომოხმარება (მხოლოდ EV ავტომობილისთვის)**

ენერგომოხმარების მონიტორი გაწვდით ზოგად მონაცემებს თქვენი ელექტრომობილის ყოველდღიური ან ყოველთვიური ენერგომოხმარების შესახებ. შეგიძლიათ შეამოწმოთ ენერგომოხმარების ჯამური ან საშუალო მაჩვენებელი, გავლილი მანძილი და რეკუპერაცია.

3.3. <u>ავტომობილის გაზიარება</u>

3.3.1. **ჩემი ავტომობილის გაზიარება**

Bluelink-ის აპლიკაციაში, „ავტომობილის გაზიარების“ ფუნქციის მეშვეობით, შეგიძლიათ სერვისების ერთი ან მეტი მომხმარებლისთვის გაზიარება.
„ავტომობილის გაზიარების“ ფუნქციის გამოყენებით გააზიარებთ Hyundai-ს ავტომობილთან დაკავშირებულ სერვისებს და მონაცემებს, რომელიც Bluelink-ის აპლიკაციაში დაარეგისტრირეთ.
გაზიარებული სერვისების გამოსაყენებლად სხვა მომხმარებელმა ზემოთ, 2.2.1-ე პუნქტში მითითებული მოქმედებები უნდა განახორციელოს.
სერვისების გაზიარების შეწყვეტა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, რისთვისაც სხვა მომხმარებელი უნდა წაშალოთ „გაზიარებული მანქანის პარამეტრები“-დან. ამის შემდეგ, ჩვენ წავშლით ყველა გაზიარებულ მონაცემს სხვა მომხმარებლის Bluelink-ის აპლიკაციიდან.

3.3.2. **მანქანის გაზიარების მოთხოვნა**

Bluelink-ის სხვა მომხმარებლებს შეგიძლიათ სთხოვოთ მათი Hyundai-ს ავტომობილთან დაკავშირებული სერვისებისა და მონაცემების გაზიარება Bluelink-ის აპლიკაციიდან, ფუნქციის „მანქანის გაზიარების მოთხოვნა“ მეშვეობით.

3.4. <u>მომხმარებლის პროფილის გადაცემა</u>

ავტომობილის პარამეტრების შემოწმება და შეცვლა შეგიძლიათ Bluelink-ის აპლიკაციაში. შესაძლებელია, ასევე, პარამეტრების შესახებ ინფორმაციის სარეზერვო ასლის (ბეკაპ ასლი) შექმნა და თქვენს ავტომობილში გამოყენება.

3.5. <u>სერვისების ჩამონათვალი</u>

სერვისების ჩამონათვალში შეგიძლიათ Bluelink-ის გარკვეული სერვისების გამორთვა. დისტანციური, მდებარეობაზე დაფუძნებული სერვისები, ინფორმაცია ავტომობილის შესახებ, სიგნალიზაცია/დაცვა და პროდუქტის/სერვისის გაუმჯობესების ფუნქციები შესაძლებელია ინდივიდუალურად ჩაირთოს/გამოირთოს.

3.6. <u>კალენდარი</u>

Google-ის ან iCloud-ის კალენდრის სინქრონიზაცია შეგიძლიათ Bluelink-ის აპლიკაციაში, რათა შეამოწმოთ თქვენი მომავალი შეხვედრები საინფორმაციო-გასართობი სისტემის ეკრანზე.

3.7. Touch ID-სა და Face ID-ს (iOS) ან თითის ანაბეჭდისა და სახის ამოცნობის (Android) ფუნქცია

ჩვენი აპლიკაციის გარკვეული ფუნქციებით სარგებლობისთვის, PIN-კოდის ნაცვლად, შეგიძლიათ გამოიყენოთ Touch ID-ს ან Face ID-ს (iOS), ან თითის ანაბეჭდისა და სახის ამოცნობის ფუნქცია. ჩვენს აპლიკაციაში ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამორთოთ Touch ID-ს ან Face ID-ს (iOS), ან თითის ანაბეჭდისა და სახის ამოცნობის (Android) ფუნქცია.

3.8. გაფრთხილების სერვისები

3.8.1. **ვალეტ გაფრთხილება**

ვალეტ გაფრთხილება შეგატყობინებთ, თუ თქვენი ავტომობილი გაივლის განსაზღვრულზე მეტ მანძილს, გადააჭარბებს სიჩქარის ლიმიტს (არჩევითი პარამეტრი) და უმოქმედობის დროის ლიმიტს (არჩევითი პარამეტრი), რომლებიც წინასწარ გქონდათ დაყენებული Bluelink-ის აპლიკაციაში.
მანძილის არჩეული ლიმიტი გამოითვლება თქვენს ავტომობილში ან Bluelink-ის აპლიკაციაში გაფრთხილების ფუნქციის გააქტიურების ადგილიდან.

3.8.2. **გაფრთხილება გეოზონების შესახებ**

Bluelink-ის აპლიკაციაში შეგიძლიათ დააყენოთ დაშვებული და შეზღუდული ზონის საზღვრები თქვენი ავტომობილისთვის.
ავტომობილში გეოზონების შესახებ გაფრთხილების გააქტიურების შემთხვევაში მიიღებთ შეტყობინებას, თუ თქვენი ავტომობილი გავა დაშვებული ზონიდან ან შევა შეზღუდულ ზონაში.

3.8.3. **გაფრთხილება სიჩქარესთან დაკავშირებით**

ეს ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, წინასწარ დააყენოთ სიჩქარის ლიმიტი თქვენი ავტომობილისთვის Bluelink-ის აპლიკაციაში. თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, თუ ავტომობილი აღნიშნული სიჩქარის ლიმიტს გადააჭარბებს.

3.8.4. **გაფრთხილება დროის შეზღუდვებთან დაკავშირებით**

Bluelink-ის აპლიკაციაში შეგიძლიათ დააყენოთ თქვენი ავტომობილის გადაადგილების დროის შუალედები. თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, თუ ავტომობილი გადაადგილდება დადგენილი დროის შუალედებისგან განსხვავებულ დროს.

3.8.5. **გაფრთხილება უმოქმედობასთან დაკავშირებით**

Bluelink-ის აპლიკაციაში შეგიძლიათ დააყენოთ გაფრთხილება უმოქმედობასთან დაკავშირებით, რომელიც გაცნობებთ ავტომობილის ძრავის მუშაობის შესახებ, როდესაც ავტომობილი გადაადგილდება Bluelink-ის აპლიკაციაში თქვენ მიერ დაყენებული უმოქმედობის დროის მონაკვეთებს მიღმა.

3.9. Hyundai Digital Key

3.9.1. Hyundai Digital Key არის არჩევითი ფუნქცია, რომელიც ხელმისაწვდომია Hyundai-ს შერჩეული მოდელებისთვის და მისი არჩევა შესაძლებელია მხოლოდ ავტომობილის შეძენის შემდეგ.

3.9.2.

Hyundai Digital Key საშუალებას გაძლევთ, გააღოთ, ჩაკეტოთ და დაქოქოთ თქვენი ავტომობილი სმარტფონის ან სხვა ჭკვიანი მოწყობილობის მეშვეობით, ფიზიკური „ჭკვიანი“ გასაღების საკიდის თან ტარების საჭიროების გარეშე. შეამოწმეთ თქვენი სმარტფონის თავსებადობა და ამ ფუნქციის სრული მხარდაჭერის შესაძლებლობა ჩვენს ვებგვერდზე (https://www.hyundai.com/eu/driving-hyundai/owning-a-hyundai/bluelink-connectivity/digital-key.html).

3.9.3. ამ ფუნქციის გასააქტიურებლად საჭიროა Bluelink-ის აპლიკაციის ჩამოტვირთვა და დაყენება (შესაბამისი ინსტრუქციისთვის, იხილეთ პუნქტი 2.2) და Hyundai Digital Key-ის გააქტიურება. Hyundai Digital Key-ის გასააქტიურებლად, თქვენ უნდა იყოთ ავტომობილში და ჩართული გქონდეთ ძრავა, გადაცემათა კოლოფი კი დაყენებული უნდა იყოს P პოზიციაზე. დაიწყეთ დაწყვილების პროცესი Bluelink-ის აპლიკაციიდან. ამისთვის, უნდა დააწკაპუნოთ ღილაკზე „მეტი“ -> „ავტომობილის ციფრული გასაღები“ -> „ციფრული გასაღების რეგისტრაცია“. აქტივაციის პროცესი საფულის აპლიკაციაში გაგრძელდება შესაბამისი პირობებით. საფულის აპლიკაციიდან რეგისტრაციის პროცესის დაწყების შემდეგ, სმარტფონი ავტომობილის უსადენო დამუხტვის ქვესადებზე მოათავსეთ.

3.9.4. მოწყობილობის თავდაპირველად დაყენებისთვის საჭიროა ორი ფიზიკური „ჭკვიანი“ გასაღები, რომლებიც ავტომობილში უნდა გქონდეთ. ამგვარად, თქვენ ადასტურებთ, რომ გაქვთ უფლებამოსილება, განკარგოთ ავტომობილი, გააააქტიუროთ და გამოიყენოთ Hyundai Digital Key-ის ფუნქცია ამ პუნქტის შესაბამისად.

3.9.5. Hyundai Digital Keys-ის გააქტიურება შესაძლებელია სმარტფონზე / ჭკვიან მოწყობილობაზე, გამოყენების ამ პირობების ფარგლებში, როგორც ეს განმარტებულია ამ და 11 პუნქტებში. თითოეული Hyundai Digital Key ავტომატურად კარგავს ძალას, როდესაც, გამოყენების ამ პირობების საფუძველზე, თქვენთან გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდება 11.2 პუნქტის შესაბამისად.

3.9.6. Hyundai Digital Key-ების გაზიარება რამდენიმე სმარტფონზე შეგიძლიათ. შესაძლებელია, ასევე, Hyundai Digital Key-ების სხვა ჭკვიან მოწყობილობებზე გააქტიურება, რაც მათ ფუნქციონალურ თავსებადობაზეა დამოკიდებული. გთხოვთ, გაეცანით მეტ ტექნიკურ დეტალს ჩვენს ვებგვერდზე (https://www.hyundai.com/eu/driving-hyundai/owning-a-hyundai/bluelink-connectivity/digital-key.html).
თქვენ შეგიძლიათ გააზიაროთ და მართოთ Hyundai Digital Key საფულის აპლიკაციიდან, რა დროსაც დამატებით ვრცელდება გამოყენების შესაბამისი პირობები. Hyundai Digital Key-ის გაზიარებისას, შეგიძლიათ შეზღუდოთ სხვადასხვა ფუნქციებზე წვდომა. გარდა ამისა, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გააუქმოთ წვდომა გაზიარებულ Hyundai Digital Key-ზე, ან წაშალოთ გააქტიურებული Hyundai Digital Key, მისი ვადის გასვლამდე, საფულის შესაბამისი აპლიკაციების ან საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით („პარამეტრები“ -> „ავტომობილი“ -> „ციფრული გასაღები“ -> „გასაღები სმარტფონზე“ -> „წაშლა“). თუ Hyundai Digital Keys-ს წაშლის მომხმარებელი, რომელსაც ის გაზიარებული ჰქონდა, ან Hyundai Digital Key-ის დაიბრუნებს ძირითადი მფლობელი, შესაბამის მომხმარებელს ვეღარ ექნება ავტომობილზე წვდომა.

3.9.7. Hyundai Digital Key-ის ფუნქციის გააქტიურების შემდეგ, თქვენი პასუხისმგებლობაა, Hyundai Digital Key-ის გამოყენების ნებართვის მიცემა მხოლოდ სანდო პირებისთვის.

კერძოდ, Hyundai Digital Key-ის მიმღებს არ უნდა მისცეთ ავტომობილის მართვის უფლება, თუ მას არ აქვს მართვის მოქმედი მოწმობა, ან/და სხვა მიზეზის გამო, არ შეუძლია, ან არ აქვს უფლება, მართოს ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები შესაბამის ქვეყანაში, იმ დროისათვის, როდესაც ავტომობილის მართვა სურს.

3.9.8. მესამე მხარისთვის ავტომობილის მიყიდვის, ან სხვაგვარად, მუდმივად გადაცემის შემთხვევაში, ვალდებული ხართ, დროულად წაშალოთ ყველა მოქმედი Hyundai Digital Keys, 7.4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად.

3.9.9. შენიშვნა: Hyundai Digital Key დაფუძნებულია NFC (ახლო საველე კომუნიკაცია) ტექნოლოგიაზე ან UWB (ულტრა-ფართოზოლიანი) ქსელზე, მანქანის მოდელის მიხედვით. თუ თქვენი Hyundai Digital Key-ის მოწყობილობა გამორთულია, ან ელემენტი სრულადაა დაცლილი, Hyundai Digital Key-ის გამოყენებას მხოლოდ შეზღუდული დროით შეძლებთ. Hyundai Digital Key-ის უსაფრთხოდ გამოყენებასთან დაკავშირებით, დამატებითი მითითებების მისაღებად, გაეცანით ავტომობილის სახელმძღვანელოს.

4. Bluelink-ის სერვისების ჩამონათვალი: საინფორმაციო-გასართობი სისტემა

4.1. Hyundai Live

Hyundai Live საშუალებას გაძლევთ, ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით, იქონიოთ წვდომა შემდეგ ფუნქციებზე:

4.1.1. ტრანსპორტის მოძრაობა Live რეჟიმში

Bluelink იყენებს ტრანსპორტის მოძრაობის შესახებ Live რეჟიმში მიღებულ ინფორმაციას, რათა მოგაწოდოთ საუკეთესო მარშრუტები არსებული მდგომარეობის შესაბამისად. ეს ფუნქცია უზრუნველყოფს უფრო სწრაფ მარშრუტს და ადგილზე ჩასვლის უფრო ზუსტ დროს.

4.1.2. პარკირება Live რეჟიმში

პარკირება Live რეჟიმში გეხმარებათ საპარგინგე ადგილის უფრო ეფექტურად და სწრაფად, სტრესის გარეშე პოვნაში.
პარკირების ფუნქციის პარამეტრები ერთმანეთს ადარებს პარკირების შესაძლო ვარიანტებს მრავალსართულიან საპარკინგე სივრცეებში, ავტოსადგომებსა და ქუჩაში. „პარკირება Live რეჟიმში“ გაწვდით ინფორმაციას უფასო საპარკინგე სივრცეების შესახებ, რისთვისაც იყენებს როგორც შუქნიშნების სისტემას (მწვანე, ყვითელი, წითელი), ისე ინფორმაციას პარკირების ფასების შესახებ (ასეთის შემთხვევაში).

4.1.3. ავტოგასამართი სადგურები Live რეჟიმში

ეს ფუნქცია გეხმარებათ, იპოვოთ ახლომდებარე და ყველაზე იაფი ფასების მქონე ავტოგასამართი სადგური. ავტოგასამართი სადგურების Live რეჟიმში ჩვენების ფუნქცია გაწვდით ინფორმაციას საწვავის მიმდინარე ფასის შესახებ, ფასის ნიშნულზე ფერების (მწვანე, წითელი) გამოყენებით.

4.1.4. ელექტროავტომობილების POI (ინტერესის სფეროს პუნქტი) Live რეჟიმში (მხოლოდ EV და PHEV ავტომობილისთვის)

„ელექტროავტომობილების POI (ინტერესის სფეროს პუნქტი) Live რეჟიმში“ გეხმარებათ ყველაზე ახლომდებარე და საუკეთესო ელექტროავტომობილების დასამუხტი სადგურის პოვნაში, თქვენი საჭიროებების (მაგალითად, დამუხტვის ტიპის) შესაბამისად.

4.1.5. **ამინდი**

ეს ფუნქცია გაგაცნობთ მომდევნო ხუთი დღის ამინდის პროგნოზს.

4.1.6. **Hyundai-ს სერვისი**

ეს ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, მარტივად მოიძიოთ ინფორმაცია Hyundai-ს ახლომდებარე დილერის ან სერვისის ადგილმდებარეობის შესახებ და მიიღოთ საკონტაქტო მონაცემები.

4.1.7. **ინტერესის პუნქტი (POI) Live რეჟიმში და უფასო Live ტექსტური ძიება**

Bluelink-ის მეშვეობით, ჩვენ გთავაზობთ ძალიან მძლავრ ონლაინ POI (ინტერესის პუნქტი) მომსახურებას პირდაპირ რეჟიმში, რომელიც ასევე საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია (როგორიცაა სამუშაო საათები) და მდებარეობაზე დაფუძნებული შეთავაზებები გარკვეული POI-ებისთვის, პირდაპირ თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემის სანავიგაციო ეკრანზე. ეს POI სანავიგაციო რუკაზე გამოჩნდება, როგორც პატარა ნიშანი, რომელიც ბრენდირებულია არჩეული მესამე მხარის გამყიდველის შესაბამისი ლოგოთი. ლოგოს გვერდით გამოჩნდება „%“-სიმბოლო, თუკი არის მიმდინარე აქცია, რომელიც შეიძლება თქვენთვის საინტერესო იყოს. სიმბოლოზე დაწკაპებით გაიხსნება ფანჯარა, რომელიც შეიცავს დამატებით ინფორმაციას, შეთავაზებას და მაგალითად, ფასდაკლების, ან სარეკლამო QR კოდს. თქვენ ასევე შეგიძლიათ სხვადასხვა POI-ების მოძებნა ნავიგაციის სისტემაში სასურველი POI კატეგორიის (მაგ. ავტოგასამართი სადგური, პარკინგი, საყიდლები/ სასურსათო მაღაზიები) არჩევით. თუ ერთ-ერთი შერჩეული გამყიდველისთვის მიმდინარეობს აქცია ან კამპანია, ის სიის ზედა ნაწილში გამოჩნდება და "%" სიმბოლოს დაინახავთ, რომელიც შეთავაზებაზე მიგითითებთ. შესაბამის გამყიდველზე დაწკაპუნების შემდეგ მიიღებთ დამატებით დეტალებს POI-ზე და შეძლებთ ისარგებლოთ შეთავაზებით, როგორიცაა ფასდაკლება, ან სარეკლამო QR კოდი. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ იპოვნოთ აქტუალური მიმდინარე შემოთავაზებების ჩამონათვალი მდებარეობის მიხედვით, სანავიგაციო სისტემის „Nearby POI“ მენიუში, „ახლომდებარე შეთავაზებებში“, POI-ს ყველა კატეგორიის მიხედვით. შეთავაზებები და ინფორმაცია შესაძლოა ავტომობილიდან პირდაპირ თქვენს Bluelink-ის აპლიკაციაში, push-შეტყობინებების სახით გაიგზავნოს, რისთვისაც დეტალური ინფორმაციის ეკრანზე უნდა დააჭიროთ სმარტფონის ხატულაზე, ან ღილაკზე სახელწოდებით „ტელეფონზე გაგზავნა“. ავტომობილიდან გაგზავნილი ყველა push-შეტყობინების სია შეგიძლიათ ნახოთ განყოფილებაში „მეტი“ – „შეთავაზების ყუთი“. იმისათვის, რომ საინტერესო და მაღალი ხარისხის შეთავაზებები მოგაწოდოთ, ჩვენ ვიყენებთ მესამე მხარის პროვაიდერის მომსახურებებს, რომელიც გვთავაზობს პლატფორმას, სადაც POI-ს ყველა შესაბამისი კატეგორიიდან არჩეულ მომწოდებლებს/ პარტნიორებს შეუძლიათ თავიანთი მარკეტინგული კამპანიების გაშვება. გამყიდველი Hyundai-ს უხდის თითოეული პინის ზემოქმდების და მათი ერთ-ერთი შეთავაზების ურთიერთქმედებისთვის. თუ ამ სახის პარტნიორული მარკეტინგის ნახვა არ გსურთ, გთხოვთ, გამორთოთ Hyundai Live სერვისი თქვენს Bluelink-ის აპლიკაციაში და ვეღარ შეძლებთ Hyundai Live-ის ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობას.

4.1.8. **გამაფრთხილებელი შეტყობინებები ვიდეოკამერის / სახიფათო ზონების შესახებ (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონით დაშვებულია თქვენს ქვეყანაში)**

ეს ფუნქცია გიგზავნით შეტყობინებებს იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებით ხშირია უბედური შემთხვევები და გაფრთხილებთ „სახიფათო ზონების“, სიჩქარის მაკონტროლებელი ვიდეოკამერებისა და შუქნიშნების შესახებ.

4.1.9. **სპორტული ლიგა**

"სპორტული ლიგის" ფუნქცია გაგაცნობთ ბოლოდროინდელი თამაშების შედეგებს, სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, კალათბურთი, ბეისბოლი და გოლფი, ასევე, მსოფლიო ჩემპიონატებზე მძლეოსნობაში, ოლიმპიურ თამაშებსა და FIFA-ს მსოფლიო თასზე.

4.2. <u>ონლაინ ხმის ამოცნობა</u>

საინფორმაციო-გასართობ სისტემაზე წვდომისა და სამართავად, ასევე, ტექსტური შეტყობინებების შესაქმნელად და გასაგზავნად შეგიძლიათ გამოიყენოთ ხმაზე აქტივაციის ფუნქცია.
ონლაინ ხმის ამოცნობა იმართება Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში.
თქვენი ხმის ნიმუშები და GPS-კოორდინატები მუშავდება ხმის ამოცნობის სერვისის შესრულებისა და გაუმჯობესების მიზნით.
ონლაინ ხმის ამოცნობის ფუნქცია ამჟამად ხელმისაწვდომია შემდეგ ენებზე: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური და ჰოლანდიური.
თუ ონლაინ ხმის ამოცნობა გამორთული ან მიუწვდომელია, შეგიძლიათ ისარგებლოთ ხმის ამოცნობით კავშირგარეშე რეჟიმში. განსხვავება არის ის, რომ კავშირგარეშე რეჟიმს მხოლოდ კონკრეტული ბრძანებების მხარდაჭერა აქვს. ძიების შედეგები მიიღება შიდა მონაცემთა ბაზიდან, რომელიც შეიძლება არ შეიცავდეს უახლეს მონაცემებს. კავშირგარეშე რეჟიმში ჩვენ არ ვამუშავებთ თქვენი ხმის ნიმუშებსა და GPS-კოორდინატებს სერვისის გასაუმჯობესებლად.

4.3. <u>ავტომობილის დიაგნოსტიკა</u>

ავტომობილის დიაგნოსტიკა გაწვდით ინფორმაციას ავტომობილის გარკვეული მართვის ბლოკებიდან მიღებული უწესივრობის აქტიური კოდების (trouble codes) შესახებ (ე.ი. ავტომობილის შეცდომის მანიშნებელ შეტყობინებებს).

4.4. <u>დაკავშირებული მარშრუტის განსაზღვრა</u>

დაკავშირებული მარშრუტის განსაზღვრა გულისხმობს თქვენი მიმდინარე ადგილმდებარეობიდან დანიშნულების ადგილამდე მარშრუტის გამოანგარიშებას არა მხოლოდ საინფორმაციო-გასართობი სისტემის, არამედ Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში არსებული მძლავრი სერვერის მეშვეობით.
რატომ არის ეს უკეთესი? იმიტომ, რომ ეს ფუნქცია საგზაო მოძრაობის უფრო ზუსტი პროგნოზის, ჩასვლის დროის უფრო ზუსტად განსაზღვრისა და მარშრუტის უფრო საიმედო ხელახალი გამოთვლის საშუალებას იძლევა.

4.5. <u>Bluelink-ის მომხმარებლის პროფილი</u>

Bluelink-ის მომხმარებლის პროფილი ავტომობილის სხვადასხვა პარამეტრის Bluelink-ის ღრუბლოვან გარემოში შენახვისა და მათი სხვადასხვა ავტომობილში გამოყენების საშუალებას გაძლევთ.
მომხმარებლის პროფილის დასაყენებლად მიჰყევით საინფორმაციო-გასართობ სისტემაში მოცემულ მითითებებს და თქვენი პროფილი თქვენს Hyundai-ს ანგარიშს დაუკავშირეთ. ერთ ავტომობილზე შეგიძლიათ ორი მომხმარებლის პროფილისა და ერთი სტუმრის პროფილის დაყენება.
ამ ფუნქციის გამოყენება შეგიძლიათ, თუ ორი ან მეტი მძღოლი ერთსა და იმავე ავტომობილს იყენებს, მაგრამ განსხვავებულ პარამეტრებს ამჯობინებს ხმის, ენის ან რუკის ხედის პარამეტრებთან დაკავშირებით.
მძღოლის/მომხმარებლის პროფილში შესაძლებელია შემდეგი მონაცემების შენახვა:
- პროფილის სურათი

- სატელეფონო კავშირი
- თარიღის და დროის პარამეტრები
- ზოგადი პარამეტრები
- ხმის პარამეტრები
- დისპლეის პარამეტრები
- ხმის ამოცნობის პარამეტრები
- რადიოს პარამეტრები
- ავტომობილის პარამეტრები
- ნავიგაციის პარამეტრები

Bluelink-ის მეშვეობით შესაძლებელია ამ ყველა პარამეტრის სხვა ავტომობილში გადატანა. თუ მეგობარი თქვენს ავტომობილს დროებით იყენებს, შესაძლებელია სტუმრის პროფილის გამოყენება.

4.6. <u>შეტყობინებების ცენტრი</u>

შეტყობინებების ცენტრი საშუალებას გვაძლევს, გამოგიგზავნოთ ინფორმაცია თქვენი ავტომობილის შესახებ.
ამ სერვისს მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის გამოვიყენებთ. ინფორმაცია თქვენი მანქანის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში პოპ-აპ (ამომხტარი) ფანჯრის სახით გამოჩნდება. გარკვეული ტიპის ინფორმაციის მიღების დეაქტივაცია შეგიძლიათ პარამეტრებში რეჟიმის შეცვლით ან პოპ-აპ ფანჯრის გამოჩენის დროს.

4.7. <u>კალენდარი</u>

Bluelink-ის მეშვეობით შესაძლებელია Google ან Apple კალენდრის სინქრონიზაცია თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში ინტეგრირებული კალენდრის ფუნქციის მეშვეობით.

4.8. <u>მოწონების ფუნქცია</u>

USB-ს, Bluetooth-ის ან რადიოს მეშვეობით მუსიკის მოსმენის დროს, შეგიძლიათ გამოიყენოთ „ზემოთ მიმართული ცერა თითი“-ს და „ქვემოთ მიმართული ცერა თითი“-ს გამოსახულებიანი ღილაკები მუსიკის შესაფასებლად. მოწონებული სიმღერები დასაკრავი სიმღერების ნუსხას დაემატება (მხოლოდ USB-ს შემთხვევაში).

4.9. <u>SoundHound</u>

SoundHound ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, ამოიცნოთ სიმღერები, რომლებსაც, მაგალითად, რადიოში უსმენთ. ეს ფუნქცია მოიძიებს და ამოიღებს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა სიმღერის სახელწოდება, შემსრულებელი და ალბომის გარეკანი, რაც, შემდეგ, პირდაპირ საინფორმაციო გასართობ სისტემაში გამოჩნდება. შესაბამისი ინფორმაცია ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიიღოთ და წაშალოთ SoundHound-ის ძიების ისტორიაში [„რადიო“ -> „მენიუ“ -> SoundHound-ის ისტორია“].

4.10. <u>მუსიკის სტრიმინგი</u>

მუსიკის სტრიმინგის ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, მუსიკის სტრიმინგის გარკვეული სერვისებიდან, საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით, გაუშვათ მუსიკა პირდაპირ თქვენს ავტომობილში. ამ ფუნქციის გამოსაყენებლად აუცილებელია გქონდეთ მუსიკის სტრიმინგის პლატფორმის მოქმედი გამოწერა. Bluelink-ის გამოწერის განმავლობაში არ დაგეკისრებათ დამატებითი ხარჯები.
ფუნქციის გასააქტიურებლად გადადით საინფორმაციო-გასართობი სისტემის „მედიის“ მენიუში და აირჩიეთ მუსიკის სტრიმინგის სერვისი. ტელეფონით დაასკანერეთ QR-კოდი თქვენი ანგარიშის მუსიკის სტრიმინგის სერვისთან დასაკავშირებლად. Bluelink-ის

აპლიკაციის მეშვეობით გადახვალთ შესაბამისი სერვისის სისტემაში შესვლის (login) გვერდზე. სისტემაში წარმატებით შესვლის შემდეგ ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის ეკრანზე დააწკაპუნეთ ღილაკზე „დაკავშირება და გაგრძელება“. გაითვალისწინეთ, რომ თქვნი ანგარიშის დაკავშირება შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი დამატებული გაქვთ Bluelink-ის აპლიკაციაში და აპლიკაცია დაკავშირებულია ავტომობილის მძღოლის პროფილთან.
გაითვალისწინეთ, რომ მუსიკის სტრიმინგი ხელმისაწვდომია მხოლოდ Hyundai-ს გარკვეული მოდელებისთვის. დამატებით დეტალებს გაეცანით ჩვენს ვებ-გვერდზე (https://www.hyundai.com/eu/driving-hyundai/owning-a-hyundai/bluelink-connectivity/amazon-music.html)

5. OTA (უსადენო) განახლება

ავტომობილის ზოგიერთი მოდელისთვის, რის შესახებაც Hyundai გაცნობებთ, Bluelink უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამის უსადენო („over-the-air“) განახლებებს („OTA Updates“) როგორც ავტომობილის სისტემის, ისე რუკისა და საინფორმაციო-გასართობი სისტემისთვის.
თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემა რეგულარულად შეამოწმებს კომპიუტერული პროგრამის ახალი ვერსიების ხელმისაწვდომობას, ავტომატურად ჩამოტვირთავს პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერ ხელმისაწვდომ მოდიფიკაციას თქვენს ავტომობილში და მოამზადებს შესაბამის ინსტალაციას, თუ ამის შესახებ თანხმობა განაცხადეთ. საინფორმაციო-გასართობი სისტემის გამოყენება შეგიძლიათ ჩამოტვირთვისა და მომზადების პროცესში.
პროგრამული განახლების ინსტალაციის დასრულებამდე, თქვენ უნდა აირჩიოთ, ახლა გსურთ პროგრამული უზრუნველყოფის განახლება თუ მოგვიანებით. ყოველი განახლებით გეცნობებათ განახლების შინაარსი და დამატებითი ინფორმაცია განახლების პროცესის შესახებ.
ამ ფუნქციის დეაქტივაციისთვის შეგიძლიათ გამორთოთ გადამრთველი Bluelink-ის აპლიკაციაში („მეტი“ -> „სერვისების ჩამონათვალი“). ალტერნატივის სახით, შეგიძლიათ გამორთოთ Bluelink-ის კავშირი თქვენს ავტომობილში საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით („პარამეტრები“ -> „Bluelink“ -> „Bluelink-ის დეაქტივაცია“).
ასეთ შემთხვევაში, ან თუ სხვა მიზეზით არ დააინსტალირებთ OTA განახლებას, პროგრამული განახლებები ჩვეულ რეჟიმში შესრულდება (ხელით, USB-დრაივის ან SD-ბარათის მეშვეობით, ასევე, Hyundai-ს ბაზაზე).
გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა დამატებითი გადასახადი დაგეკისროთ ზოგიერთი პროგრამული განახლებისთვის, რომელიც, თქვენი მოთხოვნით, ბაზაზე განხორციელდება. დეტალებისთვის წინასწარ დაუკავშირდით თქვენს დილერს. გადასახადი არ ვრცელდება განახლებებზე სავალდებულო მომსახურების ფარგლებში. ამას გარდა, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ზოგიერთი პროგრამული განახლების ექსკლუზიურად, დილერების შესაბამის სახელოსნოში განხორციელებაზე. თქვენ არ გევალებათ OTA განახლებების ჩამოტვირთვა ან დაინსტალირება; თუმცა, ასეთ შემთხვევაში, თქვენმა ავტომობილმა ან მიწოდებულმა სერვისებმა (როგორიცაა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისტემები, საინფორმაციო-გასართობი სისტემა, Bluelink), შესაძლოა, სათანადოდ ან საერთოდ არ იმუშაოს.

5.1. ავტომობილის სისტემის OTA განახლება

OTA განახლებები შეიძლება ავტომობილის სისტემას ეხებოდეს და სხვადასხვა მიზეზით ან მიზნით მოგაწოდოთ, კერძოდ, ამა თუ იმ დეფექტის საგარანტიო პერიოდში

გამოსასწორებლად, მწარმოებლის გარანტიის ფარგლებში ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა მიზეზების გამო.
თუ პროგრამული განახლება Bluelink-ის OTA განახლების სერვისის მეშვეობით მოგეწოდებათ, პროგრამის განახლებასთან დაკავშირებული სავალდებულო ნორმები და სხვა შეთანხმებები, რომლებიც უპირატესი იურიდიული ძალის მქონე დებულებებს მოიცავს, უცვლელი დარჩება.
გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ შეტყობინებას თითოეული განახლების შესახებ და მიჰყვეთ მითითებულ ინსტრუქციას. თქვენ არ შეგიძლიათ ავტომობილის მართვა ინსტალაციის პროცესში.

5.2. <u>რუკებისა და საინფორმაციო-გასართობი სისტემის OTA განახლება</u>

Bluelink გაწვდით რუკებისა და თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის OTA განახლებებს ჩვენი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (იხილეთ მე-10 პუნქტი ქვემოთ, ამ პირობების საფუძველზე ხელშეკრულების შეტყვეტის წესის შესახებ).
საინფორმაციო-გასართობი სისტემის OTA განახლებები შეიძლება მოიცავდეს განახლებებს, რომლებიც საჭიროა Bluelink-ის სერვისების მისაწოდებლად, ამ პირობების შესაბამისად (მაგალითად, ფუნქციურობის, თავსებადობის ან უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით). ასეთ განახლებებს მოგაწვდით ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
დამატებით ინფორმაციას განახლების პროცესთან დაკავშირებით, ასევე თითოეული პროგრამული განახლების შინაარსის დეტალებს მიიღებთ განახლების შესახებ შეტყობინებასთან ერთად. თქვენ არ შეგიძლიათ საინფორმაციო-გასართობი სისტემის ჩართვა ინსტალაციის პროცესში.

6. **ინტელექტუალური საკუთრების უფლებები**

6.1. სერვისების შინაარსი დაცულია შესაბამისი საავტორო უფლებით ან ინტელექტუალური საკუთრების შესახებ მოქმედი კანონით. სერვისებთან, კერძოდ, შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან, შინაარსთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ყველა უფლება ეკუთვნის და ლიცენზირებულია Hyundai Motor Group-ის მიერ („Hyundai Motor Group“ აღნიშნავს Hyundai Motor Company-სა და მის პარტნიორ კომპანიებს).

6.2. ამ გამოყენების პირობებში არაფერი უნდა იქნას გაგებული, როგორც ლიცენზიის ან უფლების მინიჭება, შემდეგი მიზნებისთვის:

6.2.1. ნებისმიერი გამოსახულების, სასაქონლო ნიშნის, მომსახურების ნიშნის ან ლოგოს გამოყენება, რომლებიც Hyundai Motor Group-ის საკუთრებას წარმოადგენს. Hyundai Motor Group იტოვებს ყველა უფლებას ფირმის საიდუმლოს ან მასალასთან დაკავშირებით, სერვისების კონტექსტში, და ასეთ უფლებებს განახორციელებს სრულად, საავტორო უფლებებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ მოქმედი კანონის შესაბამისად;

6.2.2. Hyundai Bluelink-ის ან სერვისების ნებისმიერი ფორმით, სრულად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი პირისთვის, ჩვენგან წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გაქირავება, იჯარით გაცემა, ქველიცენზირება, გასესხება ან სხვაგვარად ხელმისაწვდომობა;

6.2.3. Hyundai Bluelink-ის ან სერვისების დუბლირება/კოპირება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს Hyundai Bluelink-ის სტანდარტული გამოყენების ფარგლებში ხდება ან თუ საჭიროა

სარეზერვო ასლის ან ოპერაციული უსაფრთხოებისთვის.

6.2.4. Hyundai Bluelink-ის ან სერვისების სრულად ან ნაწილობრივ თარგმნა, გაერთიანება, ადაპტირება, ვარირება, შეცვლა ან მოდიფიცირება; დაუშვებელია, ასევე Hyundai Bluelink-ის ან სერვისების, ან მათი რომელიმე ნაწილის გაერთიანება ან ჩართვა რომელიმე სხვა პროგრამაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს საჭიროა Hyundai Bluelink-ისა და სერვისების მოწყობილობებზე გამოსაყენებლად, ამ პირობების შესაბამისად;

6.2.5. Hyundai Bluelink-ის ან სერვისების სრულად ან ნაწილობრივ დაშლა, დეკომპილაცია, რევერსიული ინჟინერია ან მეორეული ნაშრომების შექმნა; დაუშვებელია, ასევე, მსგავსი ქმედებების განხორციელების მცდელობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოქმედი კანონმდებლობა არ უშვებს ასეთი ქმედებების აკრძალვას („ნებადართული მიზანი“); და, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მოქმედებების დროს თქვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

6.2.5.1. ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გამჟღავნდება ან ეცნობება ნებისმიერ მესამე მხარეს, ვისთვისაც ასეთი გამჟღავნება ან შეტყობინება საჭირო არ არის ნებადართული მიზნის მისაღწევად;

6.2.5.2. არ გამოიყენება რაიმე კომპიუტერული პროგრამის შესაქმნელად, რომელიც გამოსახულებით არსებითად Hyundai Bluelink-ის მსგავსია;

6.2.5.3. დაცული იქნება; და

6.2.5.4. გამოიყენება მხოლოდ ნებადართული მიზნით.

7. **მომხმარებლის მოვალეობები**

7.1. სერვისებით სარგებლობა შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იცავთ ამ პირობებს.

7.2. კერძოდ, აუცილებელია:
ა) დაიცვათ შესაბამისი კანონები და რეგულაციები და პატივი სცეთ მესამე მხარეების უფლებებს სერვისების გამოყენებისას;
ბ) არ გამოიყენოთ სერვისები არაკანონიერი მიზნებისთვის, ან ხელი შეუწყოთ მესამე მხარეების მიერ სერვისების უკანონო გამოყენებას;
გ) არ შეცვალოთ რაიმე თქვენს ავტომობილში (მათ შორის, აპარატურა და კომპიუტერული პროგრამა, ასევე მესამე მხარის პროგრამული უზრუნველყოფა) იმგვარად, რომ სერვისების ფუნქციურობაზე იმოქმედოს.
დ) არ შეაფერხოთ სერვისები განზრახ, ნებისმიერი საშუალებით;
ე) ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში სერვისების მისაწოდებლად ჩაშენებული SIM-ბარათი არ გამოიყენოთ:
i) ხმის გადასაცემად (VOIP-ის ჩათვლით)
ii) საჯაროდ ხელმისაწვდომი მისამართის მქონე წერტილზე (ანუ საჯარო IP მისამართზე) წვდომისთვის, მათ შორის, პროქსის, მარშრუტიზატორის (gateway) ან მარშრუტიზაციის (routing) გამოყენებით;
iii) რაიმე ფორმით უსაფრთხოების ზომების დარღვევისთვის, მიუხედავად იმისა, გამოიწვევს თუ არა სისტემაში შეღწევა მონაცემების დაზიანებას ან დაკარგვას;
iv) ინტერნეტ რელე ჩატის (ICR), ფაილების პირინგული გაცვლის (p2p), BitTorrent-ის ან პროქსი სერვერის ქსელისთვის სერვისების ან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის რაიმე ფორმით გამოყენების მიზნით;

v) ნებისმიერი ფორმით, სპამის დაგზავნას, არასანქცირებული იმეილებისა და კომერციული შეტყობინებების დაგზავნას ან ღია SMTP რეტრანსლირების მხარდაჭერას; ან
vi) ნებისმიერი ფორმით, რაც იწვევს ქსელის შეფერხებას; და
ვ) არ გაამჟღავნოთ ჩაშენებული SIM-ბარათის, ქსელის, სერვისების ან მათი შემადგენელი ნაწილის რაიმე ნიშნული ან ეფექტურობის მაჩვენებელი მესამე მხარისთვის.

7.3. თქვენ უნდა დაფაროთ ხარჯები სერვისების არასათანადო გამოყენებისთვის, რაც შეიძლება გამოიწვიოს თქვენ მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევამ.

7.4. მესამე მხარისთვის ავტომობილის მიყიდვის ან მუდმივად გადაცემის შემთხვევაში, თქვენ უნდა უზრუნველყოთ Bluelink-ის დეაქტივაცია ავტომობილის ბორტ-მენიუში (on-board menu). გაითვალისწინეთ, რომ ბორტ-მენიუში Bluelink-ის დეაქტივაციით თქვენი ავტომობილის მართვის მონაცემები აღარ იქნება Bluelink-ის აპლიკაციაში ხილვადი და თქვენი ავტომობილი გამოითიშება Bluelink-ის აპლიკაციიდან. თუმცა, Bluelink-ის აპლიკაციაში არსებული თქვენი ანგარიშის მონაცემები არ წაიშლება.

8. ქსელის ხელმისაწვდომობა

8.1. ჩვენ გაწვდით სერვისებს ავტომობილში ჩაშენებული SIM-ბარათის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, სერვისების ხელმისაწვდომობა:
ა) შეზღუდულია ტერიტორიულად იმ რადიოსადგურების მიღებისა და გადაცემის დიაპაზონით, რომლებსაც შესაბამისი მობილური ქსელის ოპერატორი მართავს, და შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ატმოსფერულმა, ტოპოგრაფიულმა პირობებმა, ისე ავტომობილის ადგილმდებარეობამ და ისეთმა ხელის შემშლელმა გარემოებებმა, როგორიცაა შენობები; და
ბ) დამოკიდებულია ჩაშენებული SIM-ბარათის მხარდამჭერი მობილური ქსელის ფუნქციურობასა და ოპერაციულ მზადყოფნაზე.

8.2. 4G/LTE კავშირი (რომელსაც უზრუნველყოფს გარე სერვისის პროვაიდერი) ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ თავსებად მოწყობილობებზე (მაგ.: საინფორმაციო-გასართობი სისტემა), რომლებსაც როუმინგის კონკრეტული ქსელის 4G/LTE სიხშირის მხარდაჭერა გააჩნია.
სადაც 4G/LTE არ არის ხელმისაწვდომი, უზრუნველყოფილი იქნება 2G ან 3G კავშირი, რაც დამოკიდებულია საინფორმაციო-გასართობი სისტემის ხელმისაწვდომობასა და ასეთ ქსელებთან მის თავსებადობაზე.

9. სერვისის უმოქმედობის ხანგრძლივობა

9.1. ჩვენ შესაძლოა დროებით ან მუდმივად, სრულად ან ნაწილობრივ, გავაუქმოთ წვდომა სერვისებზე ტექნიკური ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მიზეზებით ან სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საფუძვლით, როგორიცაა ეფექტურობის გაუმჯობესება, ფუნქციურობის ამაღლება, ოპერაციული სისტემის ცვლილებების ასახვა ან უსაფრთხოების პრობლემების მოგვარება.

9.2. სერვისები შეიძლება დროებით შეწყდეს ან შეიზღუდოს ფორს-მაჟორის ან სხვა მიზეზების გამო, რომლებიც ჩვენს კონტროლს მიღმაა. მაგალითად, როცა მონაცემთა გადაცემა მიუწვდომელია ან სიმძლავრის დროებითი შეფერხება გამოწვეულია

სერვისებზე, უსადენო და ფიქსირებულ ქსელებზე ან ინტერნეტზე პიკური დატვირთვის შედეგად.

9.3. ჩვენ შესაძლოა დროებით შევაჩეროთ ან შევზღუდოთ სერვისები ტექნიკური ან სხვა ღონისძიებების (მაგ.:, რემონტი, მხარდაჭერა, პროგრამული განახლება და გაფართოება) გასატარებლად დაღმავალი ან აღმავალი პროვაიდერების, კონტენტ-პროვაიდერების, მობილური ქსელის ოპერატორების ან ჩვენს სისტემებში, როდესაც ასეთი ღონისძიებები საჭიროა სერვისების სათანადოდ ან უკეთესად ფუნქციონირებისთვის.

10. მონაცემთა დაცვა და კიბერუსაფრთხოება

10.1. სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გაეცანით „შეტყობინებას კონფიდენციალურობის შესახებ“.

10.2. გთხოვთ, ავტომობილის ნებისმიერ სხვა მძღოლს ან სერვისების პოტენციურ მომხმარებელს აცნობოთ, რომ სერვისები გააქტიურებულია და მონაცემები (კერძოდ, ადგილმდებარეობა/GPS-მონაცემები) შეგროვდება და დამუშავდება „კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინებაში“ მითითებული წესის შესაბამისად.

10.3. თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა ან მონაცემთა დაცვის კანონის ფარგლებში რაიმეს განცხადება (მაგ., თანხმობის გაუქმება) არ იმოქმედებს ამ პირობების საფუძველზე დადებული ხელშეკრულების კანონიერებაზე.

10.4. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეიძლება შევწყვიტოთ ამ პირობებზე დაფუძნებული ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინების ვადაზე ადრე,

- თუ გააუქმებთ თანხმობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან უარს განაცხადებთ თქვენი პერსონალური მონაცემების შემდგომ დამუშავებაზე, და
- თუ ჩვენ ვერ გავაგრძელებთ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებს ხელშეკრულებით დადგენილი ვადით, ან სავალდებულო თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების ვადაზე ადრე, მონაცემთა დამუშავების მოცულობის გათვალისწინებით, რაც კვლავ ნებადართულია, მხარეთა ინტერესების შესაბამისად.

10.5. კიბერუსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების მართვის უზრუნველყოფის მიზნით ჩვენი ავტომობილები, მოდელის მიხედვით, შესაძლოა, კიბერუსაფრთხოების დამატებითი ფუნქციებით იქნას აღჭურვილი.
შესაბამისად, ავტომობილში სერვისების გააქტიურების შემდეგ, თქვენი ავტომობილის კიბერუსაფრთხოების დონე მუდმივად გაკონტროლდება, რათა დაუყოვნებლივ აღმოვაჩინოთ და აღმოვფხვრათ შესაძლო კიბერსაფრთხეები.
რისკის დადგენამდე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენის მონაცემები ავტომობილში შეინახება.
კიბერუსაფრთხოების ფუნქციები შეიძლება დროდადრო განახლდეს კიბერუსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით.
დამატებითი ინფორმაციისთვის, თუ როგორ ვაგროვებთ და ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს ამ მიზნებისთვის, გაეცანით ჩვენს „შეტყობინებას კონფიდენციალურობის შესახებ“.

11. ვადები

11.1. სერვისების გამოყენება შეგიძლიათ ზემოთ, 2.2 პუნქტში აღწერილი მოქმედებების დასრულების შემდეგ.

11.2. ამ პირობებზე დაფუძნებული ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად შეწყდება:
ა) ავტომობილის გამყიდველისთვის დაბრუნების შედეგად, თქვენი ავტომობილის ნასყიდობის (ან იჯარის) ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაუქმების საფუძველზე;
ბ) თქვენ მიერ ან ჩვენი მხრიდან თქვენი Hyundai-ს ანგარიშის დეაქტივაციის შედეგად, Hyundai-ს მოქმედი ანგარიშის ვადების და პირობების შესაბამისად; ან
გ) თქვენი ავტომობილის მოდელის მიხედვით:
i) 3 წლის გასვლის შემდეგ (IONIQ 5, IONIQ 6, ყველა ახალი Kona (SX2) მოდელისთვის), ან
ii) ავტომობილის რეგისტრაციიდან 5 წლის გასვლის შემდეგ (ყველა მოდელისთვის, გარდა IONIQ 5, IONIQ 6 და ყველა ახალი Kona (SX2) მოდელებისა).
დამატებითი დეტალებისთვის, გაეცანით Hyundai Bluelink-ის მენიუს.

11.3. ჩვენ შეიძლება დროებით შევაჩეროთ თქვენ მიერ სერვისების გამოყენება ან შევწყვიტოთ ხელშეკრულება სერვისების გამოყენების მუდმივად შეჩერების გზით, თუ თქვენ არსებითად დაარღვევთ ამ პირობებს.

12. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება (მხოლოდ მომხმარებლებისთვის)

12.1. <u>მითითებები ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ</u>

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, როგორც ქვემოთ არის აღწერილი, ვრცელდება მხოლოდ მომხმარებლებზე, ანუ ყველა ფიზიკურ პირზე, რომელიც დებს იურიდიული ძალის მქონე გარიგებას იმ მიზნებისთვის, რაც უმეტესწილად სცილდება სავაჭრო, ბიზნეს ან პროფესიულ სფეროებს.
ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება
თქვენ გაქვთ უფლება, არსებითი მიზეზის გარეშე, გახვიდეთ ამ ხელშეკრულებიდან 14 დღის განმავლობაში.
ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა სრულდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღეში.
ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობისთვის, ჩვენ უნდა შეგვატყობინოთ (JSC Hyundai Auto Georgia, 0131, 204 David Agmashenebeli Alley, Tbilisi, Georgia, +995 32 251 77 99, bluelink@hyundai-europe.com) მკაფიო გადაწყვეტილებით, ამ ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე თქვენი გადაწყვეტილების შესახებ.
შეგიძლიათ, სურვილისამებრ, გამოიყენოთ ქვემოთ, 1.3 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის ნიმუში.
ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში, თქვენი უფლების გამოყენების ფარგლებში, საკმარისია, დადგენილ ვადაში, გამოგვიგზავნოთ შეტყობინება თქვენ მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობის შესახებ.
ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები
ამ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, სერვისებზე წვდომა გაგიუქმდებათ, ხოლო თქვენი მომხმარებლის მონაცემები მუდმივად წაიშლება.

12.2. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ იქონიებს გავლენას თქვენს უფლებაზე, ნებისმიერ დროს, რაიმე მიზეზით ან უმიზეზოდ, მოახდინოთ სერვისების დეაქტივაცია საინფორმაციო-გასართობ სისტემაში („პარამეტრები“ -> „Bluelink“ -> „Bluelink-ის დეაქტივაცია“) ან Bluelink-ის აპლიკაციაში („მეტი“ -> „ანგარიში“ -> „ანგარიშის შეწყვეტა“).

12.3. <u>ხელშეკრულებიდან გასვლის ნიმუში</u>

(ეს ფორმა შეავსეთ და დაგვიბრუნეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გსურთ ხელშეკრულებიდან გასვლა.)

- JSC Hyundai Auto Georgia,0131, 204 David Agmashenebeli Alley, Tbilisi, Georgia, +995 32 251 77 99, bluelink@hyundai-europe.com
- მე/ჩვენ (*) გაცნობებთ, რომ გავდივარ/გავდივართ (*) ხელშეკრულებიდან შემდეგი პროდუქტების (*) ნასყიდობის /შემდეგი სერვისის (*) მიწოდების შესახებ.
- რომელიც შეკვეთილია(*)/მიღებულია(*) [თარიღი],
- მომხმარებლის/მომხმარებლების სახელ(ებ)ი,
- მომხმარებლის/მომხმარებლების მისამართ(ებ)ი,
- მომხმარებლის/მომხმარებლების ხელმოწერა/ხელმოწერები (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფორმა წარდგენილია მატერიალური დოკუმენტის სახით (ქაღალდზე),
- თარიღი

(*) წაშალეთ საჭიროებისამებრ.

13. **ცვლილებები**

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევიტანოთ შესწორებები ამ პირობებსა და სერვისებში, მომავალში ეკონომიკური, სამართლებრივი და ტექნიკური განვითარებების გათვალისწინებით, შემდეგი დებულებების შესაბამისად.

13.1. ცვლილებები, რომლებიც სამართლებრივად უპირატესი ან ნეიტრალურია თქვენთან მიმართებაში, დაუყოვნებლივ ამოქმედდება.

13.2. ამას გარდა, ისეთი ცვლილებების შეტანა სერვისებში, რომლებიც სცილდება ხელშეკრულების პირობებს (მაგ., განახლებები, შდრ. პუნქტი 5), მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუ არსებობს ასეთი ცვლილების საფუძვლიანი მიზეზი. ცვლილება არ მოითხოვს თქვენი მხრიდან დამატებით ხარჯებს, არ იცვლება სერვისების შინაარსი და მკაფიო და გასაგები ენით გეცნობებათ ცვლილების შესახებ. საფუძვლიანი მიზეზი უნდა არსებობდეს, თუ ცვლილება საჭიროა შემდეგი მიზნებისთვის:

- სერვისებზე წვდომისა და მათი გამოყენების გაუმჯობესება (მათ შორის, ახალი ფუნქციების ან ფუნქციურობის დანერგვა ან არსებულის გაუმჯობესება),
- სერვისების ადაპტირება შესწორებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან,
- სერვისების ადაპტირება ჩვენი ან მესამე მხარის მიერ მართულ სისტემებში განხორციელებულ ტექნიკურ ცვლილებებთან, ან ჩვენი მომხმარებლების სისტემებში არსებულ ტექნიკურ სიახლეებთან;
- ცვლილებები განპირობებულია მნიშვნელოვანი ოპერაციული მიზეზებით;
- ცვლილებები აუცილებელია ამ გამოყენების პირობებში არსებული ორაზროვნების, უზუსტობის ან საკანცელარიო შეცდომების აღმოსაფხვრელად; ან
- შეიცვალა ამ გამოყენების პირობებში მოცემული საკონტაქტო მონაცემები, სახელები და გვარები, საიდენტიფიკაციო ნომრები, ელექტრონული მისამართები ან ბმულები.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ 12.2 პუნქტში მითითებული ცვლილებები მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას იქონიებს თქვენ მიერ სერვისების წვდომაზე ან მათ გამოყენებაზე, წინასწარ, გონივრული ვადით ადრე, მკაფიო და გასაგები ენით და სათანადო საშუალებით გეცნობებათ როგორც ცვლილების შინაარსის და დროის, ისე თქვენი უფლების შესახებ, ნებისმიერ დროს, უსასყიდლოდ შეწყვიტოთ ხელშეკრულება; გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეუცვლელ სერვისებზე წვდომას და მათ გამოყენებას დამატებითი ხარჯების გარეშე გთავაზობთ.

ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებით სარგებლობა, ასევე, შეგიძლიათ საინფორმაციო-გასართობ სისტემაში სერვისების დეაქტივაციის გზით („პარამეტრები“ -> „Bluelink“ -> „Bluelink-ის დეაქტივაცია“) ან Bluelink-ის აპლიკაციაში („მეტი“ -> „ანგარიში“ -> „ანგარიშის შეწყვეტა“).

13.4. ამ პირობებში ყველა სხვა არსებით ცვლილებთან დაკავშირებით, ჩვენ გონივრული ვადით ადრე გაცნობებთ დაგეგმილი ცვლილების შესახებ.
თუ შეტყობინებიდან ორი კვირის განმავლობაში არ მოგვმართავთ წერილობით (მაგალითად, წერილით ან იმეილით), ჩაითვლება, რომ ეთანხმებით ცვლილებებს (ამის შესახებ შეგახსენებთ დაგეგმილი ცვლილებების შესახებ შეტყობინების დროს).
თუ ცვლილებებს არ დაეთანხმებით, ჩვენ შეიძლება შევწყვიტოთ ამ პირობებზე დაფუძნებული ხელშეკრულება იმ თარიღიდან, როდესაც ცვლილებები უნდა ამოქმედებულიყო.

14. **სხვადასხვა**

14.1. ეს პირობები (ასევე, მონაცემთა დაცვის შესახებ სხვა ნებისმიერი დოკუმენტი) შეადგენს ჩვენ შორის სერვისებთან დაკავშირებით დადებული შეთანხმების ნაწილს და წარმოადგენს მთლიან ხელშეკრულებას (თუმცა გაითვალისწინეთ, რომ Hyundai-ს ანგარიშზე ვრცელდება გამოყენების ცალკე პირობები, 2.2 პუნქტის შესაბამისად).
ამ ხელშეკრულების ფარგლებში ჩვენ მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან შეტყობინება, მაგალითად, ხელშეკრულების პირობების შეცვლასთან ან ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით (მაგალითად, წერილი ან იმეილი) წარდგენის, ან ამ პირობებში მკაფიოდ განსაზღვრული სხვა წესის შესაბამისად.
ზეპირი განცხადებები ან შეთანხმებები არ არის საკმარისი.

14.2. მხოლოდ ის დამატებითი პირობები ჩაითვლება მიღებულად, თუ მათ ცალსახად დავეთანხმეთ წერილობით.

14.3. ჩვენ შეიძლება მესამე მხარეს გადავცეთ თქვენთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები, სრულად ან ნაწილობრივ. ასეთი დაგეგმილი გადაცემის შესახებ ჩვენ არაუგვიანეს ოთხი კვირით ადრე გაცნობებთ.
თუ ასეთ გადაცემას არ დაეთანხმებით, თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ ჩვენთან დადებული ხელშეკრულება (ამის შესახებ შეგახსენებთ უფლება-მოვალეობის დაგეგმილი გადაცემის შესახებ შეტყობინების დროს).

14.4. ჩვენ ვთანხმდებით, რომ ხელშეკრულების რომელიმე პირობის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულების სხვა პირობები მოქმედი და უცვლელი დარჩება.

14.5. ამ პირობების თითოეული პუნქტი და პარაგრაფი დამოუკიდებლად მოქმედებს. თუ სასამართლო ან შესაბამისი ოფიციალური ორგანო რომელიმე მათგანს უკანონოდ ჩათვლის, დანარჩენი ნაწილები სრული ძალით იმოქმედებს.

14.6. თუ ჩვენ დავაყოვნებთ ამ ხელშეკრულების აღსრულებას, მოგვიანებით მაინც შეგვეძლება მისი სისრულეში მოყვანა. თუ ჩვენ არ მოვითხოვთ თქვენი მხრიდან რაიმე ქმედების დაუყოვნებლივ განხორციელებას, ამ პირობების შესაბამისად, ან თუ დავაყოვნებთ თქვენ წინააღმდეგ ზომების მიღებას თქვენ მიერ ამ ხელშეკრულების

დარღვევის გამო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ არ მოგიწევთ სათანადო ქმედების განხორციელება, ან ჩვენ შეგვიშლის ხელს თქვენ წინააღმდეგ მოგვიანებით ზომების გატარებაში.

15. **სამომხმარებლო სერვისი / საჩივრები**

15.1. შეკითხვების ან საჩივრების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

- JSC Hyundai Auto Georgia, 0131, 204 David Agmashenebeli Alley, Tbilisi, Georgia , ტელ.: +995 32 251 77 99, ელფოსტის მისამართი: bluelink@hyundai-europe.com

15.2. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა გულისხმობს პროცესს, როდესაც დამოუკიდებელი ორგანო განიხილავს დავის შესახებ გარემოებებს და ცდილობს მათ გადაწყვეტას, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე. ევროკომისია უზრუნველყოფს პლატფორმას დავების ალტერნატიული მოგვარებისთვის.
პლატფორმა ხელმისაწვდომია ბმულზე: http://ec.europa.eu/consumers/odr/. Hyundai არ არის ვალდებული და არ მონაწილეობს დავების ალტერნატიული მოგვარების პროცესებში, მომხმარებლებისთვის დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ორგანოს წინაშე.

16. **გარანტია**

16.1. თუ მიწოდებული სერვისები არასრულია, ამ შემთხვევაში ვრცელდება საგარანტიო მოვალეობები სავალდებულო დებულებების შესაბამისად.

16.2. ამას გარდა, სერვისებთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი პირობები:
ა) თუ თქვენ არ ან სათანადოდ ვერ დააინსტალირებთ განახლებას, ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი სერვისების გაუმართაობაზე, რასაც კონკრეტული განახლების არქონა გამოიწვევს.
ბ) როგორც წესი, თუ სერვისები (განახლებების ჩათვლით) გაუმართავია, ჩაითვლება, რომ სერვისები წინა პერიოდშიც ხარვეზით მიეწოდებოდა. ეს წესი არ მოქმედებს, თუ
i) თქვენი ციფრული გარემო არ იყო სერვისების ტექნიკურ მოთხოვნებთან თავსებადი ჩვენი შეტყობინების მომენტში, ან
ii) ჩვენ ვერ გამოვიძიებთ, შესრულდა თუ არა ტექნიკური მოთხოვნები თქვენ მიერ თანამშრომლობაზე უარის შემთხვევაში შესაბამისი გარემოებების სათანადო წესით გამოკვლევის შესახებ, და იმ მიზნებისთვის, რისთვისაც გვსურდა შესაბამისი გარემოებების დადგენისთვის ისეთი ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც თქვენს სივრცეში ყველაზე ნაკლებად შეჭრას გულისხმობს.

16.3. როდესაც წარმოადგენთ გაუმართაობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, თქვენ უნდა ითანამშრომლოთ ჩვენთან იმ გონივრულ ფარგლებში, რაც საჭიროა და შესაძლებლობას მოგვცემს, გამოვიძიოთ, თქვენს ციფრულ გარემოში იყო თუ არა მომსახურების გაუმართაობის მიზეზი.
თქვენი ვალდებულება თანამშრომლობაზე შემოიფარგლება ტექნიკურად ხელმისაწვდომი საშუალებებით, რომლებიც თქვენს სივრცეში ყველაზე ნაკლებად შეჭრას გულისხმობს.

17. **პასუხისმგებლობა**

17.1.

ჩვენ არ ვაგებთ თქვენ წინაშე პასუხს სერვისებით გადაცემული მონაცემებისა და ინფორმაციის სიზუსტესა და დროულობაზე.

17.2. ჩვენ არ ვაგებთ თქვენ წინაშე პასუხს სერვისების შეწყვეტით, შეფერხებით ან ფუნქციური ხარვეზით გამოწვეულ შედეგებზე.

17.3. ჩვენ პასუხს ვაგებთ თქვენ წინაშე ჩვენ მიერ გამოწვეულ წინასწარ განჭვრეტად დანაკარგსა და ზიანზე.
ჩვენ თუ ვერ შევასრულებთ ამ გამოყენების პირობებს, პასუხს ვაგებთ იმ დანაკარგსა თუ ზიანზე, რომელიც ჩვენ მიერ ამ პირობების დარღვევის ან სიფრთხილის გონივრული ზომის და უნარების გამოუყენებლობის შედეგად დადგა, რაც წინასწარ იყო განჭვრეტადი, მაგრამ პასუხს არ ვაგებთ რაიმე დანაკარგსა თუ ზიანზე, რომელიც არ არის წინასწარ განჭვრეტადი. დანაკარგი ან ზიანი წინასწარ განჭვრეტადია, თუ მისი მოხდენის ალბათობა აშკარაა, ან თქვენ მიერ ამ გამოყენების პირობებზე დათანხმების დროს, ჩვენ ორივემ ვიცოდით მისი შესაძლო მოხდენის შესახებ.

17.4. ჩვენ არ გამოვრიცხავთ ან რამენაირად ვზღუდავთ ჩვენს პასუხისმგებლობას თქვენ წინაშე, თუ უკანონო იქნებოდა ამის გაკეთება.
ეს მოიცავს პასუხისმგებლობას ჩვენი ან ჩვენი თანამშრომლების, აგენტების ან ქვეკონტრაქტორების დაუდევრობით გამოწვეული გარდაცვალების ან ფიზიკური ზიანის, ასევე თაღლითობისა ან შეცდომაში განგებ შეყვანის შემთხვევებზე.

17.5. ჩვენი პასუხისმგებლობა თქვენი საკუთრების დაზიანების გამო. თუ ჩვენ მიერ მიწოდებული დეფექტური ციფრული შინაარსი დააზიანებს თქვენს საკუთრებაში არსებულ მოწყობილობას ან ციფრულ შინაარსს, ჩვენ შევაკეთებთ დაზიანებულ ნაწილს ან გადაგიხდით კომპენსაციას.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ პასუხს არ ვაგებთ ზიანზე, რომლის თავიდან არიდება შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი რჩევის გათვალისწინების შემთხვევაში, გაგეკეთებინათ თქვენთვის უფასოდ შემოთავაზებული განახლება; ასევე პასუხს არ ვაგებთ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია თქვენ მიერ ინსტალაციის მითითებების არასწორად შესრულებით ან ჩვენ მიერ რეკომენდებული მინიმალური სისტემური მოთხოვნების შეუსრულებლობით.

17.6. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ბიზნეს-დანაკარგებზე. Hyundai Bluelink განკუთვნილია პირადი გამოყენებისთვის. თუ თქვენ Hyundai Bluelink-ს კომერციული, ბიზნესის ან გადაყიდვის მიზნით იყენებთ, ჩვენ პასუხს არ ვაგებთ მოგების ან ბიზნესის დანაკარგზე, ბიზნესის შეჩერებაზე ან ბიზნეს-შესაძლებლობის დაკარგვაზე.

17.7. Hyundai Bluelink და სერვისები მოწოდებულია ზოგადი ინფორმაციისთვის. ისინი არ გთავაზობთ რჩევებს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოთ.
მიიღეთ რჩევა პროფესიონალისგან ან სპეციალისტისგან, ვიდრე რაიმე მოქმედებას შეასრულებთ ან თავს შეიკავებთ მისი შესრულებისგან, Hyundai Bluelink-ის ან სერვისების მეშვეობით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
მიუხედავად იმისა, რომ გონივრულ ფარგლებში ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ Hyundai Bluelink-ის და სერვისის მეშვეობით მოწოდებული ინფორმაციის განახლებისთვის, ჩვენ არ ვიძლევით არანაირ პირდაპირ ან ირიბ პირობას, თავდებობას ან გარანტიას, რომ ასეთი ინფორმაცია ზუსტი, სრული ან განახლებულია.

17.8. Hyundai Bluelink და სერვისები არ შემუშავებულა თქვენი ინდივიდუალური საჭიროებებისთვის. გთხოვთ, შეამოწმოთ, შეესაბამება თუ არა Hyundai Bluelink-ის და

სერვისების მოწყობილობები და ფუნქციები თქვენს საჭიროებებს.